საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიყის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414

KA000013788041420

№ **46-ი**

**30 / დეკემბერი / 2020 წ.**

# განკარგულება

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის საწვავის ლიმიტის განსაზღვრისა და განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის № 34 დადგენილების შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

**მუხლი 1**

სამსახურებრივი საქმიანობის ხელშეწყობისა და ეფექტურად წარმართვის მიზნით,ლაგოდეხის მინიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან, საკრებულოსა და საკრებულოს აპარატისათვის განისაზღვროს საწვავის ყოველთვიური ლიმიტი და გადანაწილდეს შემდეგნაირად:

ა)საკრებულოს თავმჯდომარე -450 ლიტრი(ევრო დიზელი);
ბ)საკრებულოს თავმჯდმარის მოადგილე-300 ლიტრი (ბენზინი პრემიუმი);
გ)კომისიის თავმჯდომარე-50 ლიტრი(ბენზინი პრემიუმი);
დ)საკრებულოს აპარატი-50 ლიტრი(ბენზინი პრემიუმი).

**მუხლი 2**

საწვავის მიმღებ პირებს, სამსახურებრივი ავტომობილის არქონის გამო დაერთოთ ნება ისარგებლონ საკუთარი ან მათ სარგებლობაში მყოფი ავტომობილებით.

**მუხლი 3**

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების საკითხების სპეცილისტს კონსტანტინე ჭანკოტაძეს.

**მუხლი 4**

მერიის საფინანსო სამსახურს დაევალოს იხელმძღვანელოს ამ ბრძანებით.

**მუხლი 5**

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 6**

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, მისამართი:
ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

კარლო ჯამბურია